ტრანსპორტის მომსახურების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს VI სხდომა

სხდომის ოქმი N6

თბილისი, 3 მაისი, 2023

ტრანსპორტის მომსახურების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს წევრები:

1) **ოთარ გელაშვილი** - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის (კათედრის) პროფესორი, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე; სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალის „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ მთავარი რედაქტორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2) **თეიმურაზ კოჩაძე** - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი; სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო და სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი - **საბჭოს მდივანი;**
3) **ვალერი ჯაჯანიძე** - ტრანსპორტის ინჟინერიის დოქტორი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სატრანსპორტო სისტემების სასწავლო კვლევითი და საექსპერტო ცენტრის პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოს ხარისხის მენეჯერი; სსიპ - განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;

4) **ფრიდონ გოგიაშვილი** - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის და ტრანსპორტის დეპარტამენტის პროფესორი, საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული მომზადება/გადამზადების და არაფორმალური განათლების აღიარების მიმართულების ხელმძღვანელი; სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტი;

5) **ელიზბარ დარჩიაშვილი** - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი; ა(ა)იპ - ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ექსპერტი;

6) **კობა მეტრეველი** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის სახმელეთო ტრანსპორტის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

7) **ოთარ სიხარულიძე** - შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება) ხელმძღვანელი

8) **მზევარ გოგილავა** - სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს სატრანსპორტო ნაკადების ავტომატიზებული მართვის სამსახურის უფროსი; ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საგზაო მოძრაობის ორგანიზების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

სოფიკო გაფრინდაშვილი - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

დაინტერესებული პირები:

ალექსანდრე ლომიძე - კაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

მალხაზ მებურიშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:40 საათზე, დისტანციურად, პლატფორმა ZOOM-ის საშუალებით.

კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, სოფიკო გაფრინდაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას ესწრებოდა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილი იყო, დაეწყო შეხვედრა. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი 3 ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ოთარ გელაშვილმა წარადგინა დღის წესრიგი:

სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის სრულად განხილვა და კენჭისყრა პროექტის ცენტრის დირექტორთან დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე.

საბჭომ იმსჯელა სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის I შესავლის თავზე და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით:

I. შესავალი

სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს აკადემიური განათლების სტანდარტს, რომელშიც განსაზღვრულია სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების სფეროს დარგობრივი მახასიათებლები, ასახულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონის შესაბამისი სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნები, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდები, რესურსები და სხვა არსებითი მახასიათებლები.

სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების დარგობრივი მახასიათებლის მიზანია განსაზღვროს ის მინიმალური მოთხოვნები, რომლებიც ითვალისწინებენ სწავლის შედეგებს, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, სტუდენტთა მობილობას და მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას. მოცემული დარგობრივი მახასიათებელი უნდა გაითვალისწინოს ყველა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, რომელიც განახორციელებს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების საბაკალავრო ან/და სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამებს. საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შინაარსი, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები განისაზღვრება თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განვითარებასა და განხორციელებაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
- აბიტურიენტისთვის, რომელსაც სურს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების სწავლის სფეროს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა;
- სტუდენტისთვის, რომელსაც აინტერესებს რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების სწავლის სფეროს შესაბამისი საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდგომ;
- დამსაქმებელთათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კომპეტენციებითა და მათი დასაქმებით;
- აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და აპელაციის საბჭოს წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ინგლისურ ენაზე დარგობრივი მახასიათებლის სახელწოდებაა: Subject benchmark statement of Ground transportation process services.

სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა 7 წელია.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს, დოკუმენტი ,,განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 (ISCED-F 2013) - დეტალური სფეროების აღწერა" სადაც მოცემულია სფერო ,,სატრანსპორტო მომსახურებები - 1041", კერძოდ ,,Road motor vehicle operations - საავტომობილო სატრანსპორტო ოპერაციები", ,, Railway operations - სარკინიგზო სატრანსპორტო ოპერაციები", ,,Shipping - გადაზიდვების წარმოება" და ა. შ., ასევე, ასოცირების შესახებ ერთი მხრივ საქართველოსა და მეორე მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის 2014 წლის 27 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განისაზღვრა სატრანსპორტოს სფეროს მარეგულირებელი დირექტივები, რომელთაგან მნიშვნელოვანია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EC) #1071/2009 რეგლამენტი ,,საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელ პირობებთან დაკავშირებული საერთო წესების განსაზღვრისა და საბჭოს 96/26/EC დირექტივის გაუქმების შესახებ".

საბჭომ იმსჯელა სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის II სწავლის სფეროს აღწერის თავზე და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით:

II. სწავლის სფეროს აღწერა

თანამედროვე მსოფლიოში მატერიალური რესურსების და ადამიანების გადასაადგილებლად ერთადერთი საშუალებაა ტრანსპორტი, რომელსაც ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს. სატრანსპორტო მომსახურების ოპერაციების სრულყოფილად დაგეგმვა და განხორციელება

მნიშვნელოვნად განაპირობებს ბაზარზე კომპანიის წარმატებას, ქვეყნის ეკონომიკურ, თავდაცვით, სოციალურ და ა.შ. სიძლიერეს, როგორც შიდა ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. სატრანსპორტო პროცესების მომსახურების სფერო თავის თავში მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: სატრანსპორტო პროცესის დაგეგმვა და შესრულების თავისებურებები საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვა/გადაყვანების პირობებში, სატრანსპორტო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოება, სატრანსპორტო პროცესის სამართლებრივი და პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია შრომის ბაზრისათვის სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსის მომზადება .

სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურება გულისხმობს თანამედროვე სატრანსპორტო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი/საჭირო სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების განხორციელებას ისეთი ოპერაციებით, როგორებიცაა: სახმელეთო სატრანსპორტო პროცესის დაგეგმვა და წარმოების თავისებურებები საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვების შესრულების პირობებში, სახმელეთო სატრანსპორტო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოება, სახმელეთო სატრანსპორტო პროცესის სამართლებრივი და პროგრამული უზრუნველყოფა, სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების უწყვეტი და შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველყოფა, ტვირთის მახასიათებლების, სატრანსპორტო საშუალებაზე მისი განთავსების, დამაგრების, დატვირთვა-განტვირთვის ოპერაციების დაგეგმვა-წარმოება, სატრანსპორტო პროცესის განხორციელების მონიტორინგი, საგზაო/სარკინიგზო მოძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების გათვალისწინებით სატრანსპორტო განრიგების დამუშავება, სატრანსპორტო ტელემატიკის გამართული ფუნქციონირება და სხვა.

ტრანსპორტის სფერო ძირითადად შედგება ორი მდგენელისაგან:

- სატრანსპორტო საშუალებების ინჟინერია, კერძოდ: პროექტირება, წარმოება, მომსახურება, რემონტი;

- სატრანსპორტო პროცესების მომსახურება, კერძოდ - წარმოებული სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვა/გადაყვანების განხორციელება.

სწორედ ამ უკანასკნელი მიმართულების გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მოხდეს თანამედროვე შრომის ბაზრისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსის მომზადება.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების მიმართულებით უზრუნველყოფს აღნიშნული სატრანსპორტო პროცესების განხორციელებასთან დაკავშირებული საბაზო საკითხებისა და მეთოდების ფართო ცოდნას და პრაქტიკაში გამოყენებას. აღნიშნული გულისხმობს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების დაგეგმვა-წარმოება-მონიტორინგის ასპექტების კრიტიკულ ჭრილში გაცნობიერებას, თუ რა ძირითადი თავისებურებებით ხასიათდება სატრანსპორტო პროცესი; რაც სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების საფუძველს წარმოადგენს.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების მიმართულებით, უზრუნველყოფს სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებით სატრანსპორტო პროცესების დაგეგმვა-წარმოება-მონიტორინგის სიღრმისეული და სისტემური კომპეტენციების გამომუშავებას და კვლევითი კომპეტენციების გაღრმავებას, რაც სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების საფუძველს წარმოადგენს.

საბჭომ იმსჯელა სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის III სწავლის შედეგების თავზე და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით:

III. სწავლის შედეგები

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განისაზღვრა სწავლის შედეგების (ცოდნა გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) ის მინიმალური დონე, რომელსაც უნდა ფლობდეს შესაბამისი საფეხურის (ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული, რათა აღნიშნული პროგრამების დასრულების შემდეგ მიენიჭოს კვალიფიკაცია - სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების ბაკალავრი/მაგისტრი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ებს აქვთ თავისუფლება პროგრამის დამუშავებისას დამატებით გავიდნენ იმ შედეგებზეც, რომლებიც კონკრეტული გარემოსათვის იქნება პრიორიტეტული, ან ნაკარნახები საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, სწავლის შედეგები სამივე კომპონენტის (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) გათვალისწინებით, სამ კატეგორიად ჩაშლით ან ჩაშლის გარეშე ჩამოაყალიბოს.

3.1. სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებული:

- განმარტავს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის ზოგად პრინციპებსა და თავისებურებებს: სატრანსპორტო სახის შერჩევა; ოპტიმალური მარშრუტის განსაზღვრა; მგზავრის/ტვირთის გადაადგილების მონიტორინგი და სხვა;
- განსაზღვრავს სახმელეთო ტრანსპორტით სატრანსპორტო პროცესების დაგეგმვისა და განხორციელების ზოგად პარამეტრებს;

- შეიმუშავებს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების ეფექტურად განხორციელების მოდელებს შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით;
- აწარმოებს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მართვას/მონიტორინგს საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- აანალიზებს სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და განვითარების ტენდენციებს;
- წარმართავს სატრანსპორტო კომპანიაში მიმდინარე მარკეტინგულ და მენეჯერულ საქმიანობას, ზემდგომი რგოლის მითითებების საფუძველზე;
- უზრუნველყოფს სატრანსპორტო მოძრავი შემადგენლობის მიწოდების უწყვეტობას;
- პროგრამის პროფილის შესაბამისად, წინასწარგანსაზღვრული მითითებების მიხედვით, ასრულებს კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს და წარადგენს მას ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ახდენს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების დამაბრკოლებელი პრობლემების იდენტიფიცირებას და აყალიბებს მოსაზრებებს მათი გადაჭრის მიზნით;
- საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში წარმართავს საქმიან ურთიერთობებს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მოქმედ პროფესიულ ორგანიზაციებთან;
- ითვალისწინებს მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნებს სატრანსპორტო პროცესების განხორციელების დროს;
- აფასებს როგორც თავის, ისე სხვათა ძლიერ და სუსტ მხარეებს, გეგმავს საკუთარ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებას.

3.2. სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებული:

- აღწერს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების დაგეგმვისა და მართვის თეორიებს, აპრობირებულ სქემებს, უახლეს ტენდენციებსა და ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს;
- ახდენს სიღრმისეული ცოდნის დემონსტრირებას თანამედროვე სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების განვითარების ტენდენციების შესახებ;
- შეიმუშავებს ეფექტურ მეთოდებს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესის განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემების აღმოსაფხვრელად;
- მულტიდისციპლინურ გარემოში, სამიზნე ჯგუფებთან, კოლეგებთან, სხვა სფეროების წარმომადგენლებთან თანამშრომლობისას ავლენს ეფექტიანი კომუნიკაციისა და კოორდინაციის პროფესიულ უნარებს;
- იკვლევს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მართვის თანამედროვე მეთოდებს/ხერხებს და შეიმუშავებს მათი ეფექტურად განხორციელების ინოვაციურ გზებს;
- კოორდინაციას უწევს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების დაგეგმვას, განხორციელებასა და მონიტორინგს, მათ შორის აპრობირებული გეოსაინფორმაციო სისტემებით, პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტის გათვალისწინებით;
- ქვეყნის სატრანსპორტო პოტენციალის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, წარმართავს სატრანსპორტო პროცესების ეფექტიან და ოპტიმალურ ფუნქციონირებას;

- აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და უახლესი კვლევის მეთოდების გამოყენებით ქმნის კვლევითი ხასიათის ნაშრომს და წარადგენს აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე;
- გეგმავს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესებს მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით;
- უზრუნველყოფს საჭირო ადამიანური რესურსის შერჩევას და იღებს პასუხისმგებლობას მათ პროფესიულ განვითარებაზე.

საბჭომ იმსჯელა სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის IV მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავზე და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით:

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ა) სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების ბაკალავრი

Bachelor of Ground transport process services

ბ) სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების მაგისტრი

Master of Ground transport process services

საბჭომ იმსჯელა სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის V სწავლება, სწავლისა და შეფასების თავზე და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით:

V. სწავლება, სწავლა და შეფასება

წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელში სწავლება, სწავლისა და შეფასების მეთოდები ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს და ეფუძნებიან სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების პრინციპებს. დარგობრივი მახასიათებლით წარმოდგენილი სწავლება, სწავლის მეთოდები და შესაბამისი შეფასების მიდგომები საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნეს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები. მოცემული სწავლება, სწავლის მეთოდები და შესაბამისი შეფასების მიდგომები მოიცავენ საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სტუდენტებთან სიღრმისეული უკუკავშირის ვალდებულებებსა და შესაძლებლობებს. დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდები ყველაზე გავრცელებული ფორმებია, თუმცა, უსდ-ის შეხედულებებიდან გამომდინარე, სასწავლო პროგრამით, შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ან/და სხვა დამატებითი მეთოდები.

5.1. სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სახმელეთო სატრანსპორტო მომსახურების სფეროში სწავლების თავისებურებებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია გამოყენებული იქნეს სწავლება-სწავლის სტუდენტზე ორიენტირებული გავრცელებული მეთოდები: ვერბალური მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, შემთხვევის შესწავლა, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სიმულაციური სწავლება; კონსულტაციები, დისკუსია/დებატები, პრეზენტაცია, ელექტრონული სწავლება და სხვა.

სწავლება-სწავლისათვის გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს სრულყოფს. სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა გზით, როგორიცაა: წიგნების/სახელმძღვანელოების დამოუკიდებლად დამუშავება/განმარტება/ინტერპრეტირება, სიტუაციის ანალიზი, პროფესიული ანგარიშის შედგენა, შეკითხვებზე პასუხების მომზადება, წერილობითი დავალებების შესრულება, შემთხვევების ანალიზი, დისკუსიებსა და დებატებში მონაწილეობა, ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე კვლევითი ნაშრომის დამოუკიდებლად მომზადება, ნაშრომის/პროექტის/თეზისის დამოუკიდებლად მომზადება და სწავლა პრაქტიკული სამუშაოს შესრულების გზით.

5.2. შეფასების მეთოდები

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მოიცავენ: დებატებში/დისკუსიებში/პროფესიული ხასიათის განხილვებში მონაწილეობას, მშობლიურ ან უცხო ენაზე საჯარო პრეზენტაციების ჩატარებას, პროექტების, კვლევითი ნაშრომებისა და გამოცდების საფუძველზე ინდივიდუალურ შეფასებას, ზეპირი და წერითი დავალებების შესრულებას, გუნდში მუშაობის შეფასებას, სტუდენტთა ურთიერთშეფასებას, ანგარიშის მომზადებას/წარმოდგენას და სხვა.

საბჭომ იმსჯელა სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის VI დამატებითი ინფორმაციის თავზე და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით:

VI. დამატებითი ინფორმაცია

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით განსაზღვრულია 1324 ჯგუფური ერთეულით კლასიფიცირებული პროფესიები; აღნიშნული პროფესიების მქონე სპეციალისტების შესასრულებელ ამოცანებში მოიაზრება: ავტოსატრანსპორტო

საშუალებებში, მატარებლებში, ხომალდებსა თუ თვითმფრინავებში ტვირთის ჩატვირთვის ზედამხედველობა; საქონლის გადაადგილების მონიტორინგის მიზნით ჩანაწერების სისტემების ოპერირება, ოპტიმალური დროის მონაკვეთში ხელახალი მომარაგებით უზრუნველყოფა, გასატანი საქონლისა და ტრანსპორტირების მოთხოვნებთან დაკავშირებით სხვა დეპარტამენტებსა და მომხმარებლებთან კავშირების დამყარება და სხვა. მოცემულ ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებიდან მნიშვნელოვანია ,,სატრანსპორტო კომპანიის მენეჯერი".

ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ 2014 წლის 27 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, განისაზღვრა სატრანსპორტო სფეროს მარეგულირებელი დირექტივები/რეგულაციები, რომელთაგან მნიშვნელოვანია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EC) #1071/2009 რეგლამენტი ,,საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელ პირობებთან დაკავშირებული საერთო წესების განსაზღვრისა და საბჭოს 96/26/EC დირექტივის გაუქმების შესახებ", აღნიშნული რეგლამენტის მეოთხე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საწარმომ, რომელიც ახორციელებს საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობას, უნდა წარმოადგინოს მინიმუმ ერთი ფიზიკური პირი - სატრანსპორტო მენეჯერი. ამავე რეგლამენტის მიხედვითა განსაზღვრულია კომპეტენციათა ჩამონათვალი (მუხლი 8), რომელიც უნდა გააჩნდეს სატრანსპორტო მენეჯერს და ასევე, დანართის სახით მოცემული იმ საგანთა სია, რომელთა შესწავლის საფუძველზეც მიღწეული იქნება შესაბამისი უნარებისა და ცოდნის დაუფლება.

ამდენად, უაღრესად მნიშვნელოვანია წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისად მომზადდეს უმაღლესი განათლების მე-6 და მე-7 დონის საგანმანათლებლო პროგრამები, რაც შესაძლებელს გახდის შრომის

ბაზრისთვის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანური რესურსის მომზადებას.

საბჭომ იმსჯელა სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის VII დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრების თავზე და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით:

VII.დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

7.1. დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	ოთარ გელაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის (კათედრის) პროფესორი, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე;

			სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალის „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ მთავარი რედაქტორი;
2	**თეიმურაზ კოჩაძე**	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი; სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო და სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი
3	**ვალერი ჯაჯანიძე**	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ტრანსპორტის ინჟინერიის დოქტორი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სატრანსპორტო სისტემების სასწავლო კვლევითი და საექსპერტო ცენტრის პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოს ხარისხის მენეჯერი; სსიპ -

			განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი.
4	**ელიზბარ დარჩიაშვილი**	ა(ა)იპ - ტრანსპორტისა და გზების ასოციაცია	ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი; ა(ა)იპ - ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ექსპერტი.
5	**ფრიდონ გოგიაშვილი**	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის და ტრანსპორტის დეპარტამენტის პროფესორი, საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის

			პროფესიული მომზადება/გადამზადების და არაფორმალური განათლების აღიარების მიმართულების ხელმძღვანელი; სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტი.
6	**ქეთევან გოლეთიანი**	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი; შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ლოგისტიკის ფაკულტეტის დეკანი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის

			ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი; აჭარის ლოგისტიკის, ტრანსპორტის და გადამზიდავთა ასოციაციის ექსპერტი ლოგისტიკის, ტრანსპორტის და გადაზიდვების მიმართულებით; საკლასიფიკაციო-სასერტიფიკაციო საზოგადოება „რუსული რეგისტრი-ვესტჯეორჯიას“ ტექნიკური ექსპერტი ლოგისტიკის, ტრანსპორტის და გადაზიდვების მიმართულებით.
7	**კობა მეტრეველი**	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის სახმელეთო ტრანსპორტის

			სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
8	**მზევარ გოგილავა**	ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო	სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს სატრანსპორტო ნაკადების ავტომატიზებული მართვის სამსახურის უფროსი; ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საგზაო მოძრაობის ორგანიზების განყოფილების მთავარი სპეციალისტი
9	**ნინო კოჭლამაზაშვილი**	შპს "მინტრანსი"	შპს "მინტრანსის" აღმასრულებელი დირექტორი
10	**ოთარ სიხარულიძე**	შპს „თეგეტა აკადემია“	შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება) ხელმძღვანელი.
11	**დავით მესხიშვილი**	საქართველოს ავტომობილების ინსპექტირების ცენტრების ასოციაცია	აკადემიური დოქტორი ტრანსპორტის ინჟინერიაში; ა(ა)იპ საქართველოს ტრანსპორტისა და გზების

			ასოციაციის თავმჯდომარე; ა(ა)იპ საქართველოს ავტომობილების ინსპექტირების ცენტრების ასოციაციის პრეზიდენტი; შპს „თბილისისის სატრანსპორტო კომპანიის“ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის კოორდინატი; არასამთავრობო ორგანიზაცია „საგზაო უსაფრთხოებისა და ავტოსკოლების ასოციაციის“ დამფუძნებელი

7.2. გარე ინიცირების ფარგლებში დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	**ოთარ გელაშვილი**	სსიპ ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“	სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
2	**ნათია ბუთხუზი**	სსიპ ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“	სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

			სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი
3	ვალერი ჯაჯანიძე	სსიპ ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“	საავტომობილო ტრანსპორტის და ლოგისტიკის დეპარტამენტი ასოცირებული პროფესორი
4	ავთანდილ შარვაშიძე	სსიპ ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“	სარკინიგზო ტრანსპორტის აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი
5	ბორის გითოლენდია	სსიპ ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“	ასოცირებული პროფესორი
6.	ფრიდონ გოგიაშვილი	სსიპ ,, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	პროფესორი
7.	დავით მესხიშვილი	ააიპ ,,საქართველოს ტრანსპორტისა გზების ასოციაცია“	ასოციაციის თავმჯდომარე
8.	ელიზბარ დარჩიაშვილი	ააიპ ,,საქართველოს ტრანსპორტისა გზების ასოციაცია“	ექსპერტი

მოისმინეს:

საბჭოს თავმჯდომარემ, ოთარ გელაშვილმა სთხოვა საბჭოს წევრებს, კენჭი ეყარათ სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე.

დაადგინეს:

საბჭომ დამსწრე წევრთა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მხარი დაუჭირა სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების უმაღლესი განათლების

დარგობრივი მახასიათებლის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენას. საბჭოს მიერ დამტკიცებული დარგობრივი მახასიათებლის პროექტი ჩამოყალიბდეს ამ ოქმის დანართი N1-ის შესაბამისად და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სხდომა დასრულდა 15:30 საათზე

საბჭოს თავმჯდომარე

ოთარ გელაშვილი

საბჭოს მდივანი

თეიმურაზ კოჩაძე

დანართი N1

სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების I და II საფეხურები

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები

2023 წელი

I. შესავალი

სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს აკადემიური განათლების სტანდარტს, რომელშიც განსაზღვრულია სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების სფეროს დარგობრივი მახასიათებლები, ასახულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონის შესაბამისი სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნები, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდები, რესურსები და სხვა არსებითი მახასიათებლები.

სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების დარგობრივი მახასიათებლის მიზანია განსაზღვროს ის მინიმალური მოთხოვნები, რომლებიც ითვალისწინებენ სწავლის შედეგებს, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, სტუდენტთა მობილობას და მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას. მოცემული დარგობრივი მახასიათებელი უნდა გაითვალისწინოს ყველა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, რომელიც განახორციელებს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების საბაკალავრო ან/და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს. საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შინაარსი, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები განისაზღვრება თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განვითარებასა და განხორციელებაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;

- აბიტურიენტისთვის, რომელსაც სურს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების სწავლის სფეროს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა;
- სტუდენტისთვის, რომელსაც აინტერესებს რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების სწავლის სფეროს შესაბამისი საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდგომ;
- დამსაქმებელთათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კომპეტენციებითა და მათი დასაქმებით;
- აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და აპელაციის საბჭოს წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ინგლისურ ენაზე დარგობრივი მახასიათებლის სახელწოდებაა: Subject benchmark statement of Ground transportation process services.

სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა 7 წელია.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს, დოკუმენტი ,,განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 (ISCED-F 2013) - დეტალური სფეროების აღწერა“ სადაც მოცემულია სფერო ,,სატრანსპორტო მომსახურებები - 1041“, კერძოდ ,,Road motor vehicle operations - საავტომობილო სატრანსპორტო ოპერაციები“, ,, Railway operations - სარკინიგზო სატრანსპორტო ოპერაციები“, ,,Shipping - გადაზიდვების წარმოება“ და ა. შ., ასევე, ასოცირების შესახებ ერთი მხრივ საქართველოსა და მეორე მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის

გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის 2014 წლის 27 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განისაზღვრა სატრანსპორტოს სფეროს მარეგულირებელი დირექტივები, რომელთაგან მნიშვნელოვანია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EC) #1071/2009 რეგლამენტი ,,საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელ პირობებთან დაკავშირებული საერთო წესების განსაზღვრისა და საბჭოს 96/26/EC დირექტივის გაუქმების შესახებ“.

II. სწავლის სფეროს აღწერა

თანამედროვე მსოფლიოში მატერიალური რესურსების და ადამიანების გადასაადგილებლად ერთადერთი საშუალებაა ტრანსპორტი, რომელსაც ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს. სატრანსპორტო მომსახურების ოპერაციების სრულყოფილად დაგეგმვა და განხორციელება მნიშვნელოვნად განაპირობებს ბაზარზე კომპანიის წარმატებას, ქვეყნის ეკონომიკურ, თავდაცვით, სოციალურ და ა.შ. სიძლიერეს, როგორც შიდა ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. სატრანსპორტო პროცესების მომსახურების სფერო თავის თავში მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: სატრანსპორტო პროცესის დაგეგმვა და შესრულების თავისებურებები საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვა/გადაყვანების პირობებში, სატრანსპორტო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოება, სატრანსპორტო პროცესის სამართლებრივი და პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია შრომის ბაზრისათვის სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსის მომზადება

.

სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურება გულისხმობს თანამედროვე სატრანსპორტო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი/საჭირო სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების განხორციელებას ისეთი ოპერაციებით, როგორებიცაა: სახმელეთო სატრანსპორტო პროცესის დაგეგმვა და წარმოების თავისებურებები საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვების შესრულების პირობებში, სახმელეთო სატრანსპორტო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოება, სახმელეთო სატრანსპორტო პროცესის სამართლებრივი და პროგრამული უზრუნველყოფა, სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების უწყვეტი და შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველყოფა, ტვირთის მახასიათებლების, სატრანსპორტო საშუალებაზე მისი განთავსების, დამაგრების, დატვირთვა-განტვირთვის ოპერაციების დაგეგმვა-წარმოება, სატრანსპორტო პროცესის განხორციელების მონიტორინგი, საგზაო/სარკინიგზო მოძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების გათვალისწინებით სატრანსპორტო განრიგების დამუშავება, სატრანსპორტო ტელემატიკის გამართული ფუნქციონირება და სხვა.

ტრანსპორტის სფერო ძირითადად შედგება ორი მდგენელისაგან:

- სატრანსპორტო საშუალებების ინჟინერია, კერძოდ: პროექტირება, წარმოება, მომსახურება, რემონტი;

- სატრანსპორტო პროცესების მომსახურება, კერძოდ - წარმოებული სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვა/გადაყვანების განხორციელება.

სწორედ ამ უკანასკნელი მიმართულების გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მოხდეს თანამედროვე შრომის ბაზრისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსის მომზადება.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების მიმართულებით უზრუნველყოფს აღნიშნული სატრანსპორტო პროცესების განხორციელებასთან დაკავშირებული საბაზო საკითხებისა და

მეთოდების ფართო ცოდნას და პრაქტიკაში გამოყენებას. აღნიშნული გულისხმობს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების დაგეგმვა-წარმოება-მონიტორინგის ასპექტების კრიტიკულ ჭრილში გაცნობიერებას, თუ რა ძირითადი თავისებურებებით ხასიათდება სატრანსპორტო პროცესი; რაც სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების საფუძველს წარმოადგენს.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების მიმართულებით, უზრუნველყოფს სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებით სატრანსპორტო პროცესების დაგეგმვა-წარმოება-მონიტორინგის სიღრმისეული და სისტემური კომპეტენციების გამომუშავებას და კვლევითი კომპეტენციების გაღრმავებას, რაც სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების საფუძველს წარმოადგენს.

III. სწავლის შედეგები

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განისაზღვრა სწავლის შედეგების (ცოდნა გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) ის მინიმალური დონე, რომელსაც უნდა ფლობდეს შესაბამისი საფეხურის (ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული, რათა აღნიშნული პროგრამების დასრულების შემდეგ მიენიჭოს კვალიფიკაცია - სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების ბაკალავრი/მაგისტრი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ებს აქვთ თავისუფლება პროგრამის დამუშავებისას დამატებით გავიდნენ იმ შედეგებზეც, რომლებიც კონკრეტული გარემოსათვის იქნება პრიორიტეტული, ან ნაკარნახები საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, სწავლის შედეგები სამივე კომპონენტის (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და

ავტონომიურობა) გათვალისწინებით, სამ კატეგორიად ჩაშლით ან ჩაშლის გარეშე ჩამოაყალიბოს.

3.1. სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებული:

- განმარტავს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის ზოგად პრინციპებსა და თავისებურებებს: სატრანსპორტო სახის შერჩევა; ოპტიმალური მარშრუტის განსაზღვრა; მგზავრის/ტვირთის გადაადგილების მონიტორინგი და სხვა;
- განსაზღვრავს სახმელეთო ტრანსპორტით სატრანსპორტო პროცესების დაგეგმვისა და განხორციელების ზოგად პარამეტრებს;
- შეიმუშავებს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების ეფექტურად განხორციელების მოდელებს შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით;
- აწარმოებს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მართვას/მონიტორინგს საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- აანალიზებს სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და განვითარების ტენდენციებს;
- წარმართავს სატრანსპორტო კომპანიაში მიმდინარე მარკეტინგულ და მენეჯერულ საქმიანობას, ზემდგომი რგოლის მითითებების საფუძველზე;
- უზრუნველყოფს სატრანსპორტო მოძრავი შემადგენლობის მიწოდების უწყვეტობას;

- პროგრამის პროფილის შესაბამისად, წინასწარგანსაზღვრული მითითებების მიხედვით, ასრულებს კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს და წარადგენს მას ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ახდენს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების დამაბრკოლებელი პრობლემების იდენტიფიცირებას და აყალიბებს მოსაზრებებს მათი გადაჭრის მიზნით;
- საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში წარმართავს საქმიან ურთიერთობებს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მოქმედ პროფესიულ ორგანიზაციებთან;
- ითვალისწინებს მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნებს სატრანსპორტო პროცესების განხორციელების დროს;
- აფასებს როგორც თავის, ისე სხვათა ძლიერ და სუსტ მხარეებს, გეგმავს საკუთარ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებას.

3.2. სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებული:

- აღწერს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების დაგეგმვისა და მართვის თეორიებს, აპრობირებულ სქემებს, უახლეს ტენდენციებსა და ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს;
- ახდენს სიღრმისეული ცოდნის დემონსტრირებას თანამედროვე სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების განვითარების ტენდენციების შესახებ;

- შეიმუშავებს ეფექტურ მეთოდებს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესის განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემების აღმოსაფხვრელად;
- მულტიდისციპლინურ გარემოში, სამიზნე ჯგუფებთან, კოლეგებთან, სხვა სფეროების წარმომადგენლებთან თანამშრომლობისას ავლენს ეფექტიანი კომუნიკაციისა და კოორდინაციის პროფესიულ უნარებს;
- იკვლევს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მართვის თანამედროვე მეთოდებს/ხერხებს და შეიმუშავებს მათი ეფექტურად განხორციელების ინოვაციურ გზებს;
- კოორდინაციას უწევს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების დაგეგმვას, განხორციელებასა და მონიტორინგს, მათ შორის აპრობირებული გეოსაინფორმაციო სისტემებით, პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტის გათვალისწინებით;
- ქვეყნის სატრანსპორტო პოტენციალის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, წარმართავს სატრანსპორტო პროცესების ეფექტიან და ოპტიმალურ ფუნქციონირებას.
- აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და უახლესი კვლევის მეთოდების გამოყენებით ქმნის კვლევითი ხასიათის ნაშრომს და წარადგენს აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე;
- გეგმავს სახმელეთო სატრანსპორტო პროცესებს მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით;
- უზრუნველყოფს საჭირო ადამიანური რესურსის შერჩევას და იღებს პასუხისმგებლობას მათ პროფესიულ განვითარებაზე.

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ა) სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების ბაკალავრი

Bachelor of Ground transport process services

ბ) სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების მაგისტრი

Master of Ground transport process services

V. სწავლება, სწავლა და შეფასება

წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელში სწავლება, სწავლისა და შეფასების მეთოდები ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს და ეფუძნებიან სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების პრინციპებს. დარგობრივი მახასიათებლით წარმოდგენილი სწავლება, სწავლის მეთოდები და შესაბამისი შეფასების მიდგომები საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნეს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები. მოცემული სწავლება, სწავლის მეთოდები და შესაბამისი შეფასების მიდგომები მოიცავენ საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სტუდენტებთან სიღრმისეული უკუკავშირის ვალდებულებებსა და შესაძლებლობებს. დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდები ყველაზე გავრცელებული ფორმებია, თუმცა, უსდ-ის შეხედულებებიდან გამომდინარე, სასწავლო პროგრამით, შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ან/და სხვა დამატებითი მეთოდები.

5.1. სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სახმელეთო სატრანსპორტო მომსახურების სფეროში სწავლების თავისებურებებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია გამოყენებული იქნეს სწავლება-სწავლის სტუდენტზე

ორიენტირებული გავრცელებული მეთოდები: ვერბალური მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, შემთხვევის შესწავლა, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სიმულაციური სწავლება; კონსულტაციები, დისკუსია/დებატები, პრეზენტაცია, ელექტრონული სწავლება და სხვა.

სწავლება-სწავლისათვის გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს სრულყოფს. სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა გზით, როგორიცაა: წიგნების/სახელმძღვანელოების დამოუკიდებლად დამუშავება/განმარტება/ინტერპრეტირება, სიტუაციის ანალიზი, პროფესიული ანგარიშის შედგენა, შეკითხვებზე პასუხების მომზადება, წერილობითი დავალებების შესრულება, შემთხვევების ანალიზი, დისკუსიებსა და დებატებში მონაწილეობა, ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე კვლევითი ნაშრომის დამოუკიდებლად მომზადება, ნაშრომის/პროექტის/თეზისის დამოუკიდებლად მომზადება და სწავლა პრაქტიკული სამუშაოს შესრულების გზით.

5.2. შეფასების მეთოდები

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მოიცავენ: დებატებში/დისკუსიებში/პროფესიული ხასიათის განხილვებში მონაწილეობას, მშობლიურ ან უცხო ენაზე საჯარო პრეზენტაციების ჩატარებას, პროექტების, კვლევითი ნაშრომებისა და გამოცდების საფუძველზე ინდივიდუალურ შეფასებას, ზეპირი და წერითი დავალებების შესრულებას, გუნდში მუშაობის შეფასებას, სტუდენტთა ურთიერთშეფასებას, ანგარიშის მომზადებას/წარმოდგენას და სხვა.

VI. დამატებითი ინფორმაცია

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით განსაზღვრულია 1324 ჯგუფური ერთეულით კლასიფიცირებული პროფესიები; აღნიშნული პროფესიების მქონე სპეციალისტების შესასრულებელ ამოცანებში მოიაზრება: ავტოსატრანსპორტო საშუალებებში, მატარებლებში, ხომალდებსა თუ თვითმფრინავებში ტვირთის ჩატვირთვის ზედამხედველობა; საქონლის გადაადგილების მონიტორინგის მიზნით ჩანაწერების სისტემების ოპერირება, ოპტიმალური დროის მონაკვეთში ხელახალი მომარაგებით უზრუნველყოფა, გასატანი საქონლისა და ტრანსპორტირების მოთხოვნებთან დაკავშირებით სხვა დეპარტამენტებსა და მომხმარებლებთან კავშირების დამყარება და სხვა. მოცემულ ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიებიდან მნიშვნელოვანია ,,სატრანსპორტო კომპანიის მენეჯერი“.

ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ 2014 წლის 27 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, განისაზღვრა სატრანსპორტო სფეროს მარეგულირებელი დირექტივები/რეგულაციები, რომელთაგან მნიშვნელოვანია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EC) #1071/2009 რეგლამენტი ,,საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელ პირობებთან დაკავშირებული საერთო წესების განსაზღვრისა და საბჭოს 96/26/EC დირექტივის გაუქმების შესახებ“, აღნიშნული რეგლამენტის მეოთხე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საწარმომ, რომელიც ახორციელებს საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობას, უნდა წარმოადგინოს მინიმუმ ერთი ფიზიკური პირი - სატრანსპორტო მენეჯერი. ამავე რეგლამენტის მიხედვითა განსაზღვრულია კომპეტენციათა ჩამონათვალი (მუხლი 8), რომელიც უნდა გააჩნდეს სატრანსპორტო მენეჯერს და ასევე, დანართის სახით მოცემული იმ საგანთა სია, რომელთა შესწავლის საფუძველზეც მიღწეული იქნება შესაბამისი უნარებისა და ცოდნის დაუფლება.

ამდენად, უაღრესად მნიშვნელოვანია წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისად მომზადდეს უმაღლესი განათლების მე-6 და მე-7 დონის საგანმანათლებლო პროგრამები, რაც შესაძლებელს გახდის შრომის ბაზრისთვის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანური რესურსის მომზადებას.

VII.დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

7.1. დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	ოთარ გელაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის (კათედრის) პროფესორი, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე;

			სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალის „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ მთავარი რედაქტორი;
2	**თეიმურაზ კოჩაძე**	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი; სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო და სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი
3	**ვალერი ჯაჯანიძე**	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ტრანსპორტის ინჟინერიის დოქტორი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სატრანსპორტო სისტემების სასწავლო კვლევითი და საექსპერტო ცენტრის პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოს ხარისხის მენეჯერი; სსიპ -

			განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი.
4	**ელიზბარ დარჩიაშვილი**	ა(ა)იპ - ტრანსპორტისა და გზების ასოციაცია	ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი; ა(ა)იპ - ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ექსპერტი.
5	**ფრიდონ გოგიაშვილი**	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის და ტრანსპორტის დეპარტამენტის პროფესორი, საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის

			პროფესიული მომზადება/გადამზადების და არაფორმალური განათლების აღიარების მიმართულების ხელმძღვანელი; სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტი.
6	**ქეთევან გოლეთიანი**	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი; შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ლოგისტიკის ფაკულტეტის დეკანი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის

			ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი; აჭარის ლოგისტიკის, ტრანსპორტის და გადამზიდავთა ასოციაციის ექსპერტი ლოგისტიკის, ტრანსპორტის და გადაზიდვების მიმართულებით; საკლასიფიკაციო-სასერტიფიკაციო საზოგადოება „რუსული რეგისტრი-ვესტჯეორჯიას“ ტექნიკური ექსპერტი ლოგისტიკის, ტრანსპორტის და გადაზიდვების მიმართულებით.
7	**კობა მეტრეველი**	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის სახმელეთო ტრანსპორტის

			სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
8	**მზევარ გოგილავა**	ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო	სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს სატრანსპორტო ნაკადების ავტომატიზებული მართვის სამსახურის უფროსი; ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საგზაო მოძრაობის ორგანიზების განყოფილების მთავარი სპეციალისტი
9	**ნინო კოჭლამაზაშვილი**	შპს "მინტრანსი"	შპს "მინტრანსის" აღმასრულებელი დირექტორი
10	**ოთარ სიხარულიძე**	შპს „თეგეტა აკადემია“	შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება) ხელმძღვანელი.
11	**დავით მესხიშვილი**	საქართველოს ავტომობილების ინსპექტირების ცენტრების ასოციაცია	აკადემიური დოქტორი ტრანსპორტის ინჟინერიაში; ა(ა)იპ საქართველოს ტრანსპორტისა და გზების

			ასოციაციის თავმჯდომარე; ა(ა)იპ საქართველოს ავტომობილების ინსპექტირების ცენტრების ასოციაციის პრეზიდენტი; შპს „თბილისისის სატრანსპორტო კომპანიის“ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის კოორდინატი; არასამთავრობო ორგანიზაცია „საგზაო უსაფრთხოებისა და ავტოსკოლების ასოციაციის“ დამფუძნებელი

7.2. გარე ინიცირების ფარგლებში დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	**ოთარ გელაშვილი**	სსიპ ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“	სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
2	**ნათია ბუთხუზი**	სსიპ ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“	სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

			სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი
3	ვალერი ჯაჯანიძე	სსიპ ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“	საავტომობილო ტრანსპორტის და ლოგისტიკის დეპარტამენტი ასოცირებული პროფესორი
4	ავთანდილ შარვაშიძე	სსიპ ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“	სარკინიგზო ტრანსპორტის აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი
5	ბორის გითოლენდია	სსიპ ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“	ასოცირებული პროფესორი
6.	ფრიდონ გოგიაშვილი	სსიპ ,, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	პროფესორი
7.	დავით მესხიშვილი	ააიპ ,,საქართველოს ტრანსპორტისა გზების ასოციაცია“	ასოციაციის თავმჯდომარე
8.	ელიზბარ დარჩიაშვილი	ააიპ ,,საქართველოს ტრანსპორტისა გზების ასოციაცია“	ექსპერტი